ხელშეკრულება N181
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თელავ 05 ნოემბერი 2019 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, წარმოდგენილი დირექტორის ზაქარია რაზმაძის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ, შპს „ლიმბო“, წარმოდგენილი დირექტორის მამუკა ჭარბაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ერთი ცალი საჩუქრის (ხატი) და სასაჩუქრე პარკის შესყიდვა.
1.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
1.3 შესყიდვის საფუძველი - მონეტარული ზღვრის დაცვით.
1.4 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 18530000 - საჩუქრები და ჯილდოები, 18933000 - ჩანთები წერილებისა და ამანათებისთვის.
1.5 დაფინანსების წყარო _ 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

2.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული შესყიდვის ობიექტი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს ერთი დღე.
3.2. მიწოდების ადგილი ქ. თელავი, ჭადრის ქუჩა.

4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.

4.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია დაუყონებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს“ წუნის შესახებ.

4.3. მიწოდებელი საქონლის/მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. პირობების ცვლილების შემთხვევაში ფორმდება შეთანხმება.

4.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;

4.5. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.
5.2. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) მიღებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრისას, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯზე განახორციელოს აღდგენასთან დაკავშირებული ოპერაციები.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **80.50 (ოთხმოცი ლარი და 50 თეთრი)** ლარს.

6.2. ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს ჩათვლით.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. საქონლის ღირებულების გადახდა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის და/ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.2. მიწოდებული საქონლის სრული ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი

კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემკვეთსა და/ან შემსრულებელს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინის და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე ელექტრონულად და ინახება მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის
კულტურის ცენტრი“
ს.კ. 431435949
მის: ქ. თელავი, ჭადრის ქუჩა
ტელ: 577535351
დირექტორი
ზაქარია რაზმაძე

Telavi Municipality Culture Centre
Digitally signed by Telavi Municipality Culture Centre
Date: 2019.11.05 12:58:27 +04'00'

„შემსყიდველი“ ----------

„მიმწოდებელი“

შპს „ლიმბო“
ს.კ. 231165235
მის: ქ.თელავი, ქეთევან წამებულის ქ.3.
ბანკი: სს ბანკი ქართუ
ა/ა GE43CR0160090000463602
CRTUGE22
დირექტორი
მამუკა ჭარბაძე

„მიმწოდებელი“ ----------